15 მაისი, 1930 წ. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

# დროშა




№ 9 (33)

ახალ ცხოვრებისკენ

ნახატი ირ. თოიძის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ხევსური ქალი წიგნის ბაზრიდან

ნახატი ირ. თოიძის.

# თურქესტან-ციმბირის რკინის გზა



## ახალი გამარჯვება სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე

**სადგურ ლუგოვაიადან 640 კილომეტრის დაშორებით 25 აპრილს, 7 საათსა და 6 წუთზე, სამხრეთის ლიანდაგის ხაზი შეუერთდა ჩრდილოეთისას. თურქესტან-ციმბირის რკინის გზას, სიგრძით 1444 კილომეტრს, გადასერილი აქვს საუკეთესო და ნაყოფიერი მიწა. ამ ადგილებში იშლება ახალი პერსპექტივა ახალ კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის დასაარსებლად, საიდანაც მივიღებთ აუარებელ ხორბალს და ბამბას. ამ მხარეში უკვე მასა ფართოდ ჩაება კოლმეურნეობის მოძრაობაში. მოხნული მიწა 2-ჯერ მეტია, ბამბა 8-ჯერ მეტი, ვიდრე წინად.**

მთელი კაპიტალისტური მსოფლიო იღრჩობა გამოუვალი კრიზისის ბრჭყალებში. შეუჩერებლად იზრდება უმუშევართა არმია. თუ მილიონს უდრიდა იგი მიმდინარე წლის დასაწყისში. ე. ი. 80-100 მილიონამდე სული ულუკმა-პუროთ არის დარჩენილი ან ბურჟუაზიული „ქველმოქმედების" ობიექტს წარმოადგენს. კაპიტალისტური რაციონალიზაცია და მრეწველობის კრიზისი კი ყოველდღიურად ახალ მილიონებს ჰმატებს უმუშევართა არმიას. კრიზისმა მაგრად ჩასჭიდა ხელი ამერიკასაც, რომელიც მეორე ინტერნაციონალის იდეოლოგების სიტყვით წარმოადგენდა „კაპიტალისტურ წალკოტს", საიდაც ბურჟუაზიამ იპოვა წარმოების ორგანიზაციის თილისმა, „ფილოსოფიური ქვა", რომლითაც მას შეეძლო თავი დაეღწია კაპიტალისტური ევროპის ხვედრისგან. მაგრამ საპნის ბუშტივით გასკდა ამერიკული „აყვავება". შეერთებული შტატების მრეწველობის ყველა დარგებს შეეხო მწვავე კრიზის[ის] მსახრავი ხელი. ერთეულის დატვირთ[ვით] მუშაობენ მხოლოდ ის საწარმოები, რომ[ლებიც] პაც სამხედრო დაკვეთებს ასრულებენ. ამ[ერი]კის საგარეო ვაჭრობის საერთო შემცირე[ბის] პირობებში, გაიზარდა (თითქმის სამჯე[რ] მეტი). მხოლოდ ამერიკის ვაჭრობა საბჭო[თა] კავშირთან.

და მაშინ, როცა კაპიტალისტური მსო[ფ]ლიო ამით ეძებს გამოსავალს კრიზისის ჩიხ[იდან]



თურქესტანიდან ძველად ტრანსპორტი დიდის გაჭირვებით აქლემებზე გადმოჰქონდათ. უშველებელ ტრამალებზე გავლა მგზავრებისთვის დიდად საძნელო იყო. ტრანსპორტი არც იმდენად ნაყოფიერი იყო, ხოლო ჯაფა და მსხვერპლი კი აუარებელი. საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით, მუშების და ტექნიკოსების დიდი ენტუზიაზმით დამარცხებულ იქნა ყოველგვარი დაბრკოლება და სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე ვიხილეთ უდიდესი გამარჯვება.

ან, ჩვენში, საბჭოთა კავშირში წარმოუდგენელის მასშტაბით ვითარდება სოციალისტური მშენებლობა. ზედიზედ იქმნება ინდუსტრიის კერები, თანდათანობით ვთავისუფლდებით კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებისაგან. შეუჩერებლად, გიგანტური ნაბიჯებით მივდივართ წინ სოციალისტური მშენებლობის ჯერ გაუკვალავ გზაზე. თუ ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად ჩვენ გვქონდა გამოცდილება ყველა წინა რევოლუციების, რომლებშიც მუშათა კლასს ი მიუღია მონაწილეობა, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე ჩვენ პირველად გვიხდება გზის გაკვლევა და ისიც არაჩვეულებრივად რთულ პირობებში, მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობად მიღებულ ეკონომიურად ჩამორჩენილ პირობებში, კაპიტალისტური გარემოცვისა და გაძლიერებული ანტი-საბჭოთა სომარი სამზადისის პირობებში. მაგრამ განთავისუფლებული მუშათა კლასის ტოლადის ნებისყოფა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით სძლევს ყოველგვ სიძნელეებს. ჩვენ ვსწავლობთ და ვაშენებთ სოციალიზმს, ვერევით აშენებას უფრო სწრაფად და იაფად, ვიდრე კაპიტალისტები.

მაგალითი!

— თურქესტან ციმბირის გზა,—ეს უდიდესი მიღწევა სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე.

***

თურქესტან - ციმბირის რკინის გზა უდიდესი გზაა არა მარტო საბჭოთა კავშირში, რამედ ყველა გზებს შორის, რომლებიც კი არსებობენ სადმე მსოფლიოში. მას სიდიდით ჯობნის მხოლოდ სახარის რკინისგზა, რომელიც ჯერ პროექტში არსებობს.

ხუთი გრანდიოზული მშენებლობის დავება გავბედეთ და კიდეც სასახელოდ დავამთავრეთ ჩვენ, ჩვენი მცირე გამოცდილებით მცირე თანხებით, დავასრულეთ ერთი წლით ადრე ვადაზე და 30 მილიონ მანეთით უფრო იაფად, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ამ მუშაობის შესრულება შევსძელით იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ის, რაც არა აქვთ და ც შეიძლება ჰქონდეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს: მუშათა ენტუზიაზმი, მუშათა თავდადება. და არც გასაკვირია. იქ, კაპიტალისტურ ქარხანაში, მუშა ქმნის ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისათვის; აქ, საბჭოთა კავშირში, სოციალიზმის მშენებლობის ქვეყნებში, მუშა აკეთებს თავის საქმეს. ყოველი მისხალი მის მიერ შექმნილი ზედმეტი პროდუქციისა მისივე კეთილდღეობას ხმარდება.

თურქესტან-ციმბირის რკინისგზის მშენებლებმა გვიჩვენეს საუკეთესო მაგალითი სოციალისტური ენტუზიაზმის და თავდადების. ამ ენტუზიაზმისა და თავდადების წყალობით შესაძლებელი შეიქნა მშენებლობის ამერიკული ტემპების თითქმის ორჯერ გადამეტება. იმ დროს, როცა ამერიკაში საშუალო ნორმათ ითვლება 2½ კილომეტრი გზის დაგება დღე-ღამეში, თურქესტან-ციმბირის გზაზე აგებდნენ 4 და ზოგან 5 კილომეტრ გზას. ამნაირად მოხერხდა გზის ერთი წლით ადრე დამთავრება.

თურქესტან-ციმბირის რკინისგზის მშენებლობამ გამოაშკარავა აგრეთვე, რომ ჩვენ შევსწევს უნარი მოხერხებული მანევრების და რაციონალიზატორული ღონისძიებების სწრაფად ჩატარების. მშენებლობის პროცესში საგრძნობლად იქნა შესწორებული მშენებლობის და გზის მიმართულების პროექტი, რის გამო ბევრად შემოკლდა გზის გასაყვანი ხარჯები: 203.707 ათასი მანეთიდან დაყვანილ იქნა 175 მილიონ მანეთამდე.

15 მაისიდან გზაზე იწყება რეგულიარული მიმოსვლა. მომავალი წლისათვის გზა მთლიანად მზად იქნება საექსპლოატაციოდ და 6 წყვილი მატარებლის მაგიერ (როგორც ნავარაუდევი იყო 1930-31 წლისათვის) გაატარებს 12 წყვილ მატარებელს.

სოციალისტური მშენებლობის ერთი უდიდესი გამოცდათაგანი ბრწყინვალედ დავიჭირეთ.

***

თურქესტან-ციმბირის რკინისგზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის. შუა აზიისათვის კი მთელს რევოლუციას მოასწავებს, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ და საყოფაცხოვრებო დარგში.

იმის წყალობით, რომ შუა აზია უმოკლესი გზით მიიღებს ციმბირის პურს, საბჭოთა ქვეყანა სოციალისტური მშენებლობისათვის დაზოგავს 12-14 მილიონ მანეთს; 15 მილიონამდე ეკონომიას მოგვცემს ხე-ტყის, პირუტყვის, ხორცისა და სხვ. პროდუქტების უმოკლესი გზით შეტანა შუა-აზიაში. არაპირდაპირი სარგებლობა თურქესტან-ციმბირის გზის გაყვანის გამო 50 მილ. მანეთი მაინც უნდა ვიანგარიშოთ (იხ. ამხ. ტ. რისკულოვის წერილი, „იზვესტია" № 116).

თურქესტან-ციმბირის გზის გაყვანის წყალობით მტკიცე ბაზა იქმნება შუა აზიის მებამბეობის გაორკეცებული გეგმის შესრულებისათვის და ამრიგად ჩვენი საფეიქრო მრეწველობის შემდგომი ზრდა-განვითარებაც უზრუნველყოფილია.

ახალი რკინისგზის გაყვანით მტკიცე საფუძველი ეყრება აგრეთვე თურქესტან-ციმბირის უამრავ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევა-დამუშავების საქმეს. გზის გაყვანის პროცესში, ყოველგვარი საფუძვლიანი გეოლოგიური კვლევა-ძიების გარეშე გამოირკვა, რომ გზის გასწვრივ მოიპოვება მთელი რიგი მადნების საბუდოები. (ფოსფორი, სპილენძი და სხვ.). ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ სიმდიდრეთა დამუშავებას, ადგილობრივ მძიმე მრეწველობის კერების შექმნას მთელი შუა აზიისათვის. ეს მოასწავებს ამ უდიდესი მხარის არა მარტო ეკონომიურად აყვავებას, არამედ მთელი ყოფაცხოვრების ძირფესიანად გარდაქმნას, ადგილობრივი პროლეტარიატის ძლიერი კადრების შექმნას.

ახალი რკინის გზის რევოლიუციონური გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე და ყოფაცხოვრებაზე უკვე თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა. გზა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო და უბნები, სადაც მიმოსვლა სწარმოებდა, ვერ აუდიოდენ გადასაზიდავ ტვირთს. გზის გასწვრივ კი იშლებოდა სკოლების, სამკითხველოების და საავადმყოფოების ქსელი. ადგილობრივი მოსახლეობა—ყაზახები ებმება სამრეწველო შრომაში, მიღებულია ზომები გზისათვის მათგან კადრების მოსამზადებლად და სხვ.

თურქესტან-ციმბირის რკინისგზის გაყვანით სოციალისტური რევოლიუცია მძლავრად იჭრება შუა აზიაში.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ამ უდიდესი გამარჯვებით.

**ნ. რ.**

---

# ...იუს XI—ჩვენი ძველი ნაცნობი

...რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობამ ვატიკანის კმაყოფილება გამოიწვია. ერთის შეხედვით გაუგებრად გამოიყურება ეს ფაქტი. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა მართლმადიდებელ ეკლესიას ფარობდა და ამიტომ უკანასკნელის გაბატონებული მდგომარეობა ექირა, მაშინ ნათელი შეიქნება, რომ რომის პაპა თვითმპყრობელობის დამხობას ადასტურებდა, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვას. რაც კათოლიციზმს უხსნიდა რუსეთში მანამდე დახშულ გზას. სანამ ვატიკანი რუსეთში კათოლიციზმის გავრცელების გეგმებს ადგენდა, მოხდა ოქტომბრის რევოლუცია. მაგრამ „ქრისტეს მოადგილემ" ამ ქვეყნად — პაპმა ბენედიქტმა თავის განზრახვაზე ხელი არ აიღო და 1918 წ. გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში გაგზავნა ვატიკანის ბიბლიოთეკის დირექტორი მონსინიორი **ახილ რატი**, რასაკვირველია. მონსინიორმა რატიმ საბჭოთა კავშირში შესვლის უფლება ვერ მიიღო, მაგრამ ამ მარცხის მიუხედავად „წმ. მამამ" გადაწყვიტა რაიმე გზით მაინც შეესრულებინა თავისი მისია. ამ მიზნით თავის რეზიდენციად აირჩია პოლონეთი, რომელიც პოლონელ მემამულეების და ბურჟუაზიის სიტყვით, „მუდამ რომის ეკლესიის ერთგული იყო", — რომ აქედან გაევრცელებინა კათოლიკობა „ურწმუნოთა ქვეყანაში" — საბჭოთა რუსეთში.

მონსინიორ რატის კარგად ახსოვდა ისტორიიდან, თუ როგორ ამყარებდნენ ბატონობას (მე-16, მე-17 და მე-8 საუკ.) პოლონელი ფეოდალი და პოლონელი იეზუიტი ბელორუსიისა და უკრაინაში, როგორ ყვლეფდნენ ისინი ბელორუსს, უკრაინელ და ლიტველ გლეხებს და როგორ მოხერხებულად სარგებლობდნენ ამ მიზნით კათოლიკური ეკლესიით. მონსინიორი რატი ოცნებობდა იმ დროის განმეორებაზე, როცა პოლონეთის შლიახტა ცეცხლით, მახვილით და ჯვრით იპყრობდა თავისთვის ახალ ლატიფუნდიებს, რომის ეკლესიისთვის კი — ახალ „მორწმუნეებს".

ამ ოცნებით შეპყრობილი მონსინიორი რატი დასახლდა ვარშავაში და როცა ომის დამთავრების შემდეგ „დამოუკიდებელი" პოლონეთი შეიქნა, დანიშნულ იქნა პაპის დიპლომატიურ წარმომადგენლად (ნუნციო) პოლონეთის მთავრობასთან.

მონსინიორმა რატიმ გადაწყვიტა: რახან „მშვიდობიანი" გზით არაფერი გაეწყო ბოლშევიკებთან, ხიშტ-ზნებით მაინც გაიკვლია გზა კათოლიციზმისათვის რუსეთ-ბელორუსია-უკრაინაში და ამ მიზნით შეუდგა შესაფერი ნიადაგის მომზადებას. ამჟამად უკვე დოკუმენტალურად დამტკიცებულია, რომ მონსინიორმა რატიმ თვალსაჩინო როლის ითამაშა პოლონეთ-საბჭოთა კონფლიქტში 1920 წ.

მაგრამ ერთი ღირსებას ვერ წავართმევთ მონსინიორ რატის. როცა ვარშავის კედლები მიუახლოვდნენ საბჭოთა ზარბაზნების გუგუნისაგან და მსოფლიო კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრე საბჭოთა საზღვარზე ძველ-ძველ უნდა დაცემულიყო, როცა პოლონეთის ბურჟუაზია უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ერთად თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ბოლშევიკ-შეპყრობილ ვარშავიდან და მარშალი **იუზეფ პილსუდსკი** თვითმკვლელობით აპირებდა თავისი პოლიტიკური კარიერის დასრულებას, როცა გამოცდილი სამხედრო სპეციალისტებიც კი უიმედოთ თვლიდნენ პოლონეთის მდგომარეობას და ურჩევდნენ პოლონეთის მთავრობას ფარხმალი დაეყარა წითელი არმიის წინაშე, მონსინიორი რატი ეკუთვნოდა იმ მოღვაწეთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებმაც გონება არ დაჰკარგეს და მთელი თავისი გავლენა და ენერგია გამოიყენეს მდგომარეობის გამოსასწორებლად და კიდეც მოახერხეს საფრანგეთის დახმარებით პოლონეთის შლიახტის ბატონობის გადარჩენა.

ამის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა მჭიდრო მეგობრულ კავშირს მონსინიორ რატისა და იუზეფ პილსუდსკის შორის, კავშირს, რომელიც დღემდე ურყევია. ეს მეგობრობა მით უფრო საგულისხმოა, რომ თავის დროზე პილსუდსკიმ, ოპორტუნისტური პირობების გამო სრულიად გასწყვიტა კავშირი კათოლიკურ ეკლესიასთან და მიიღო ლუთერანობა თუ კალვინიზმი.

პილსუდსკის კავშირმა მონსინიორ რატისთან პილსუდსკის მოწინააღმდეგეთა — ნაციონალ - დემოკრატების უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გამოააშკარავეს რატის კავშირი პოლონეთის აშკარა მტერთან — გერმანელ კანცლერთან და რატი იძულებული შეიქმნა გამოსთხოვებოდა პოლონეთს.

მოკვდა პაპი ბენედიქტი და პაპათ არჩეულ იქნა მონსინიორი ახილ რატი—**პაპი პიუს XI**

ახლა მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ რათ იკისრა პაპმა პიუს XI ანტისაბჭოთა ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურობა. პიუს XI განაგრძობს მონსინიორ რატის მიერ დაწყებულ ლაშქრობას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, არა მეტის წარმატებით.

**ა. პ.**

# განახლებული მხარე

## შოფერის გვერდით

როგორც იქნა დაიძრა ავტო ოზურგეთიდან და უარის თქმამდე დატვირთული მანქანა ახორხოცდა ახალ ქვაფენილზე...

თოთხმეტი მგზავრი ვიჯექით რვა ადგილიან ავტოში... ამიტომ...

ორი კაცი შოფერის გვერდით დაგვსხეს და ასე თევზებივით შეწებებულნი გაუდექით გზას.

— თქვენ საით? ვეკითხები ჩემს თანამგზავრს, ქალარა შესულ წარმოსადეგ გლეხს, რომელიც სიჟიწროვის გამო სულს ძლივსღა ითქვამს ბენზინის კვამლით ახრჩოლებულ ჰაერში...

— მე ნაგომარში... მოკლედ მომიჭრა ქალარამ.

— იქაური ხართ?..

— დიახ, ნაგომრელი ვარ... ისე ჩაის ჰამულის მუშა ვარ აგერ... ქალარამ ხელი გაიშვირა.., აჭარის მთებისაკენ.

— კოლექტივში თუ...

— არა, საბჭოთა მამულში... ანასეულის მამულს რომ ეძახიან, იქ ვმუშაობ.

— როგორი პირობები გაქვთ ჩაის მამულში?

— რა უშავს... ყანის ჩიჩქნას კი ჯობია და ისე მაგისთანა მამული რომ სამი-ოთხი გაშენდებოდეს გურიაში, გურულები კი გამოვძვრებოდით ამ გაჭირვებიდან.

— გურია არც ისე ღარიბია. შევნიშნე მე.

— რას ამბობ ყმაწვილო! გამოიცვალა კილო ჩემმა თანამგზავრმა. გურიის და საერთოდ გურულების სიმდიდრე ჯერ არავის გაუგონია, მიწა, ჩვენ მუდამ ნაკლები გვქონდა და მწირი, უნაყოფო; ფაბრიკა - ქარხნები ჩვენში არ ყოფილა და არც ახლა არის... აი ერთი ძაფსახვევი გვაქვს ოზურგეთში. ღიმილით დაასრულა სიტყვა ქალარამ და არიბად გადმომხედა...

— რაში ემდურით მაინც? ვკითხე მე.

ავტო გუზგუზით დაეშვა ნაგომრის ქალებისაკენ და ჩვენი ყურადღება გადაეხლართა თვალუწვდენელ სიმინდის საყანეებს, სადაც ახამდე სული ქალი და კაცი კალიასავით შესეოდა ყანის ხაჩალებს და სახნავ - სათესად ასუფთავებდა.

ასი უღელი ხარი ბრუნავდა ნაგომრის კოლექტივის მერეში და გადაშავებული ყამირი. ემუქრებოდა ამწვანებულ რძია-რძიასა და ყვითელ ზაიებით დაფენილ მინდორს.

— ამისთანა მიწები რომ სანახევროდ ქონდეს გურულ გლეხობასაშიმ ნახავდით თუ როგორ მალე მოიობობდა ხელს მოსახლეობა მარა... ამ მერეს რომ ხედავ ამით ხუთი-ექვსი სოფელი ირჩენს თავს სიმინდით... კოლექტივს თუ მიწები არ დაურჩა რით იარსებოს.

— ისე რა მდგომარეობაშია მაინც კოლექტივები?

— ზოგან ბევრი შეცდომები იქნა დაშვებული პირველ ხანებში, როგორც სამაზრო რწმუნებულების, ისე ადგილობრივად მომუშავე პირების მიერ... შემდეგ ჩამოყალიბდა თანდათან ყველაფერი, შეცდომები გამოსწორდა რომლის გამოსწორებაც კი შეიძლებოდა, საკითხი უფრო გარკვეულად დადგა გლეხობის წინაშე და ახლა, რომ ვაკვირდები გაზეთებს, გურიაში სხვა კუთხეზე უფრო ძლიერი უნდა იყვეს კოლექტივები, განსაკუთრებით ეს ითქმის ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონებზე.

—ხომ ვერ მეტყვით, რა შეცდომები იყო უმთავრესად დაშვებული?

ჩემმა თანამგზავრმა წარბი აიწია და ჩუმად ჩაახველა...

— რაღა საჭიროა ახლა შეცდომებზე ლაპარაკი. რაც იყო ის წარსულშია, წარსულს — ველარ დავეწევით.

— არა, საინტერესოა მაინც? განვუმეორე მე და გვერდი მოვინაცვლე.

ჩემი თანამგზავრი დაჩუმდა... თითქოს ფიქრებს მიეცა...

— საინტერესოა რა შეცდომები იყო?

მივაგინე ისევ ვითომ ფიქრებში გართულ ჩემს თანამგზავრს...

— რა საჭიროა-მეთქი... თორემ... ისე, იყო შეცდომები. — ნაწყვეტებით დაიწყო მან და პირი ჩემსკენ მოიბრუნა. — იყო გაუფრთხილებლობა.. მუქარისა და დაშინების შემთხვევები.. უსაფუძვლო გადასახლება, რამაც ბევრი საშუალო გლეხიც კი დააშინა და სულ სხვა თვალით დაუწყეს ცქერა კოლექტივებს და მეურნეობათა გაერთიანების იდეას.

— შემდეგ?

— შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა, ეზო-მიდამო და წვრილი პირუტყვის კერძო საკუთრებად დატოვების საკითხი გადაიჭრა, გაერთიანებულ ფართობისა და არტელებში შემავალ კომლთა წესდება გამომუშავდა, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, გლეხობა დარწმუნდა, რომ ძალდატანებით მათ არავინ ერეოდა კოლექტივისკენ და ყოველივე ამის შემდეგ ის ხალხი, რომელიც განზე იდგა, ან კოლექტივში პირველად შიშით ჩაეწერა შემდეგ ისევ უკან გავიდა, ამჟამად შემოაქვს განცხადება კოლექტივში შემოსასვლელად, რომელთაც გამგეობა ღებულობს სათანადო წესდების ფარგლებში.

— ასე რომ ადგილი ქონდა კოლექტივებიდან უკან გასვლას და დაბრუნებასაც არა?

— ხშირი იყო შემთხვევა, რომ სტალინის წერილის შემდეგ გლეხებმა მოითხოვა კოლექტივიდან გასვლა, მაგრამ შემდეგ ისევ შემოიტანეს განცხადება უკან მიღების შესახებ.

— რით აიხსნება ეს მდგომარეობა?

— რა მოგახსენოთ?.. ისე, როგორც მათი სიტყვებიდან ირკვევა, ბრუნდებიან იმიტომ, რომ ძალდატანებას ახლა აღარ აქვს ადგილი, პირობები კოლექტივში მუშაობისათვის კარგია და სხვ. ამიტომ ამ ბოლო ხანებში გაქცეულებმაც კი იბრუნეს პირი კოლექტივებისაკენ.

## რა გაკეთდა

საოცარია როგორ მოასწრეს ასე ჩქარა ამდენი სამუშაოების ჩატარება. ჯერ არც კი გამოზაფხულებულა და ნაგომრის კოლექტივს უკვე დაუმზადებია ჩაის დასარგავად 60 ჰექტარი მიწა. 180 ჰექტარი მერე მოუხნავს სიმინდისათვის, 30 ჰექტარი თივისათვის...

აგერ საბოსტნე, სადაც დაკარწახებული ქალები მამაკაცური მძლეობით შემოიან ბარებსა და ფოცხებს...

სწმენდენ ნიადაგს და თესავენ ბოსტნეულს. მზად არის 10 ჰექტარი მიწა თამბაქოს დასარგავად. ორი ჰექტარი სოიას დასათესად...

აგერ საკრამიტე... საავეჯე.

— ასი ათასი კრამიტი და 50 ათასი აგური უნდა დავამზადოთ წრევანდელი გეგმით წლის ბოლომდის... ამბობს თავმჯდომარე... ჩვენ შეგვეძლება ახლა... უმატებს თვითონვე და ხელს იშვერს საავეჯესკენ. აგერ მანქანა-იარაღები: გუთნები, სათესები, კულტივატორები...

ერთი სიტყვით:

ნაგომრის კოლექტივი აღარ ხუმრობს. ორი თვის მუშაობისა და გაერთიანებულ შრომის ნაყოფის დათვალიერებაში საკმაოდ მოვიქანცეთ...

დიდებული დასაწყისია...

საქმიანი გაერთიანება...

ნიადაგმომაგრებული კოლექტივი...

დიდია ის მიღწევები, რასაც ნაგომრის კოლექტივი უკვე ითვლის ორი თვის არსებობის ისტორიაში, მაგრამ უფრო დიდია და მნიშვნელოვანი ის აღფრთოვანება, ის ხალისი, როცა ასე ამჭიდროებს და აერთიანებს თემის მეხორცეებთა ნალებს: კოლექტივის წევრ - გლეხებს.

ჩვენ უკვე სუფსის ნაპირას ვართ... აღორთქილ მოლზე, ისიც სუფსის პირად, აბა ვინ არ დაიმუხლებს?!.

ბალახი, სუნით გაჟღენთილა არემიდამო...

ჩვენ კი რამდენიმე წუთით მხართეძოდ წამოწოლილებს, აკიდებულ მდინარის პირად, საუბარი გადაგვაქვს კითხვიდან კითხვაზე...

## საერთო ძალღონით

სუფსა ჩაწოლილა ნაგომრის ქალებში. ჩაწოლილა და ნიადაგიც გაუნოყიერებია.

ძველი ნაგზაური გადმოულახავს სათესი მინდვრები დაუშვავებია. გზატკეცილის პირად გაშლილა ფერმა და გათავხედებული მდინარე მიაროკავს პოხიერ ნიადაგს, მაჯის სიმსხო ჩალის გადანაპრებით დაფენილ მინდორზე. იერიშს მისდევს იერიში და გულნატკენი მოსახლეობა ჩაფიქრებია სუფსის გულზვიადობას...

— დაგვაქცევს ეგი ოხერი, თუ ასე ოადგა ამ ჭალებს... წყენით ამბობს რთი და დაღვრემილ სახით შეყურებს აოლეულ ნიადაგს...

სასაფლაოსავით გამოიყურება ჭაანგრებით თავმოჭედილი მინდვრები უფსის ერთ მხარეს... ეს არის წყალიდობის შემდეგ დატოვებული უნაოფო ფართობი...

— რამდენი მიწა გაგვიოხრა ამ ურჟულომ... მაგრამ დღემდის არავინ დაეიქრებია ამ გარემოებას... რაც ერო მიდის წყალი ჭალების სიღრმეში ერება და მით უფრო ძნელი ხდება ისი ძველ კალაპოტში ჩაბრუნება...

—ახლა რას ფიქრობთ? კოლექტი- ი ხომ...

— ვფიქრობთ კი არა უკვე შეამდეომლობა აღვძარით ზეით მდგომ ორგანიზაციების წინაშე, ინჟინერიც ვანოვითხოვეთ, ხარჯთაღრიცხვა შეადგინეთ და როგორც იქნა წყალთა ეურნეობის სამმართველოს ოთხასი უმანი ფულიც გამოვართვით საქმის ოსაგვარებლად. გზა-ტკეცილების სამართველო რომ გულგრილად არ ეკვს განწყობილი ამ საქმისადმი და ოტას რომ ისიც დაგვეხმარებოდეს, ვენ, ჩვენი საკუთარი შრომით შევლებდით მდინარის ძველ კალაპოტში ადაგდებას და ეს რად ღირს გზატკეცილთა სამმართველოსათვის? ხომ უყურებთ ორი კილომეტრის სირძეზე გზას საფრთხე მოელის, რამდე იმე ასეული მეტრი უკვე ჩაქცეულია... ასე, რომ, ათი ათასი მანეთი ვიხსნიდა ამ განსაცდელიდან და რადენიმე ჰექტარ მიწასაც შემატებდა ვენს კოლექტივს, თუ არ ვიანგარიებთ იმას, რომ რა ზარალი მოელის წყალის კალაპოტის ასეთ დგომარეობაში დატოვებით...

და მართლაც, რა უგუნურება იქნეოდა წყალის ახალ კალაპოტში დაოვება, მაშინ, როცა თვითეული ელდიდობა საფრთხის წინაშე დაეუნებდა როგორც ნაგომარის კოლექივის საყანე მიწებს, ისე დანარჩენ ოდამოებსაც...

— საქმე დაწყებული გვაქვს და... ომ ცოტას კიდევ წამოგვეხმარებოეს დაინტერესებული ორგანიზაციე- , ჩვენ შევსძლებთ საერთო ძალლოით წყალის ძველ კალაპოტში გადაებას. დამაჯერებელი მკვეთრი ით ამბობს კოლექტივის ერთ-ერთი ერი და გჯერა ადამიანს, რომ მარ- ლაც რა შეაჩერებს ზღვის ტალღებით აბობოქრებულ მეურნეობის ფრონზე თავდადებულ ხალხს!

საერთო ძალლონით ხალხი შეაჩერებს ბუნების სტიქიასაც და ნგრევისა რღვევის გუნებაზე მოსულ მდინაი მადას შეუკვეცავს...

დასვენება კმარა...

ებრუნდებით უკან...

გზადაგზა თვალს იტაცებს გადაშაეული ყამირი...

— ეს ძიმითის კოლექტივის საყა- , იძლევა ახსნა - განმარტებას კოექტივის თავმჯდომარე დახნულ ფაობებზე — ეს კი ასკანის... ძიმითი მთლიან კოლექტივიზაციაზე გადავიდა. 350 კომლიდან უკვე გაერთიანდა 310 კომლი... მუშაობა იქაც გაჩაღებულია: 135 უღელი ხარი გაერთიანდა კოლექტივში; 170 ჰექტარი მიწა გამზადებულია დასათესად, ისე 20 ჰექტარი ძველი დარგული ჩაი აქვთ, დასარგავად გამზადილია 45 ჰექტარი. კოლექტივიდან პირველ ხანებში გავიდა 25 წევრი, ამჟამად ყველა ერთად მოითხოვს უკან დაბრუნებას...

ასე რომ, ნაგომარს ფეხდაფეხ მისდევს ძიმითი, ძიმითს გურიანთა, ლესა, ლანჩხუთი, სუფსა, გულიანი და სხვა. არტელები და ამხანაგობები სოკოსავით გამრავლებულა ყველა თემებში, ყველა სოფლებში..

კოლექტივიზაციის ქარიშხლი თავის ისტორიულ სიძლიერით ქრის გურიის, აქამდის მწირსა და ღარიბ, მიწაწყალზე... გურია დგება მეურნეობის ახალ რელსებზე და მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის იდეა მძიმე დასაყრდენს პოულობს გლეხობაში.

— „ერთობა? ოლონდაც „ძალად მაცხონეობა“ ნუ იქნება და გაერთიანებიზა აი ხალხი ციმბირში ტოვებდა ტყავს... სამი რევოლიუცია მოახდინა ამ საუკუნეში და ახლა ვინ წავა, წავხთი, კოლექტივის წინააღმდეგი“?. წაასწრებ ყურს გლეხების საუბარს...

— „კი ძამია მარა, როცა ლაპარაკი შეიქნა ბალანაის საჭმელი ყურძენი უნდა მოწონო კოლექტივში და მერე უნდა აჭამო ბალნებსო, ამან ხომ იცი შენ რამდენი კაცი დააფთხო და დააშინა, აფერი არაა აქანაი დასამალი, ამას ქონდა ადგილი პირველად და აი რომ არ გამოსწორებულიყო, მე შენ გელაპარაკები, რომ აი საქმე ჩეიშლებოდა“...

— კომუნა ეგება ვერ მოაწყონ როგორც წესი და რიგია, მარა, ამ კოლექტივებში გაერთიანებას რა უდგანა წინ... იმუშავე საერთო ძალლონით, მთავრობა დაგეხმარება მანქანა - იარაღებით, სესხით, მიწით და რა ვიცი... ამის წინააღმდეგ რომ გლეხი წასულა, რა ვიცი; რა ჭკუაზე უნდა იყვეს იგი...

— რა ჭკუაზე?

— აქანაი გურიაა და ხომ იცი გურიაში მეშმუკიკების ჭვანკი ჯერაც არ ამოუწყვეტია დროებას... დღე და ღამე დაწანწალობენ და თუ ვინმე რაცხას ჩხირკედელობს, მაგენის ბრალია მაგი სულ ყველაფერი...

საქმიანი საუბრები იქცევს მოსულთა ყურადღებას, საღი და გონიერი მსჯელობა უსწავლელი გლეხების, ხალისს მატებს ისედაც საუკეთესო შთაბეჭდილებით დატვირთულ ადამიანს.

სოფლიდან სოფელში, თემიდან რაიონებში... ყველგან საქმიანობა და შრომა...

ყველგან კოლექტივებსა და გაერთიანებაზე ნჯა-ბასი...

გურია არღვევს უმიწობის გამო ვიწროდ დატიხრულ მიჯნებსა და ლობეებს, აფართოვებს ფართობ - მოედნებს და თუ მერეებსა და ჭალებში რკინის ხმები გააუქმებს ხარსა და გუთნებს, თუ რომ მუშა-ხელი მოჭარბდება მანქანა-იარაღებს, სამაგიეროდ ნასაკირალის, დღემდე მწირი და უსარგებლო ეწერი, ანასეულის მიდამოები შეიკედლებს მუშათა რიგებს ჩაის პლანტაციების, ამ საბჭოთა ცეილონის, ასაყვავებლად...

— არც ერთი მტკაველი მიწა დაუმუშავებლად... ამბობს გურული გლეხი და გზად გავლილიც კი აშკარად ხედავს, თუ რა გულმოდგინედ ატარებენ გურულები ცხოვრებაში ამ დიად ლოზუნგს.

**პ. ჩხიკვაძე.**



**ბათომი** მოაჯირების შემოვლება აზნავთის ელექტრო-სადგურის ირგვლივ.

# ალაზნის არხი



ალაზნის არხის სათავე.

რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ულოდნოდა ალაზნის ველი წყალს. გვალვის დროს გურჯაანის, ველისის, კარდენახის, წნორის, ვაქირის ბაღ-ვენახები და მინდვრები იღუპებოდა, ნადგურდებოდა მოსავალი, ტყუილ-უბრალოდ მიდიოდა გლეხის შრომა ოფლი.

კახელების ოცნება იყო არხის გაყვანა მდინარე ალაზნიდან, იმ ალაზნიდან, რომელიც უხსოვარ დროიდან უქმად დიოდა უდიდეს ველზე.

— რის მაქნისია ალაზანი — იძახდნენ კახელები — მარტო თვალს ატკბობს და სიცხეში ახარებს ბალღებს და საქონელს. ბანაობისათვის არის გაჩენილი და არა ბაღ-ვენახების სარწყავად.

და, აი, 1-ლ მაისს, როდესაც მთელი ქვეყნის ჩაგრულნი ზეიმობდნენ საერთაშორისო დღესასწაულს, კახელებს აუსრულდათ დიდი ხნის ოცნება. ამ დღეს სოფელ თოხლიაურთან მუშისა და გლეხის შეერთებულმა, ძმურმა შრომამ შეაგუბა ალაზანი, აცვლევინა მას მიმართულება, გაუშვა აღმა, გორებისაკენ, რომ ალაზნის წყალს ამიერიდან მოეტანა სარგებლობა არა მარტო კახელი გლეხებისათვის, არამედ მთელი საქართველოს მშრომელთათვის.

1-ლ მაისიდან შესაძლებელი შეიქნა უდიდესი ალაზნის ველის მორწყვა, ამ ველზე ძვირფასი კულტურების გაშენება.

—:—

ალაზნის არხი იწყება სოფ. თოხლიაურთან. აქ აგებულია სათავე, სადაც გუბდება ალაზნის წყალი და შემდეგ მიდის ახლად გაჭრილ არხით ქვევით.

არხის მშენებლობა დაიწყო 1924-25 წელს. 1929 წლამდე არხის მშენებლობა მიმდინარეობდა ძლიერ სუსტად, რადგან არ იყო გადადებული თანხები. 1929 წლიდან დაიწყო გაცხოველებული მუშაობა. არხისათვის საქართველოს მთავრობამ გადასდო საჭირო თანხები და შესაძლებელი შეიქნა არხის დამთავრებაც. ალაზნის არხის უმთავრესი ნაწილი უკვე დამთავრებულია. დაწყებული სათავიდან წნორამდე ალაზნის წყალი მორწყავს 15.100 ჰექტარ მიწას, აქედან მორწყული იქნება ბამბის რაიონში 1.700 ჰექტარი. კახეთში, ნიადაგის მორწყვის შემდეგ, მოეწყობა ორი დიდი საბჭოთა მეურნეობა: კენაფის — 2000 ჰექტარზე და მებამბეობის — 6.400 ჰექტარზე.

ალაზნის არხი, გაჭიმული 88 კილომეტრის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. შ. ელიავას — იძლევა მსხვილი მეურნეობის, მემინდვრეობის და მესაქონლეობის განვითარების შესაძლებლობას კახეთში.

გარდა ამისა, ველისთან ალაზნის არხი აამუშავებს მძლავრ ელექტრო სადგურს. ეს სადგური — „კახეთის ზაჰესი", — მიაწოდებს ენერგიას მთელ კახეთს და შირაქს. ამრიგად ალაზნის არხის გახსნამ ჩაუყარა მკვიდრი საძირკველი კახეთის ელექტროფიკაციას. ველისის სადგური იქნება ყველაზე იაფი, რადგან მთავარი საბეტონო სამუშაოები უკვე შესრულებული იქნა არხის მშენებლობის დროს.

ალაზნის არხი გაჭიმული 88 კილომეტრის მანძილზე, არის საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევა და საქართველოს მშრომელთა გამარჯვება.

—:—

1-ლი მაისი, ალაზნის არხის გახსნის დღე, გადაიქცა კახეთის მშრომელთა ზეიმად. სათავესთან თავი მოიყარა რამოდენიმე ათასმა კაცმა. მოდიოდნენ კახელები სიმღერით, ყიჟინით, ზურნით. ისმოდა ტკბილი „მრავალჟამიერი", „გუშინ შვიდნი გურჯაანელნი", „შაშვი - კაკაბი".

ალაზანი ადიდებული იყო, მაგრამ ყვარელის, ენისელის, საბუეს, შილდის, მაქრიანის გლეხები არ შეუშინდნენ მღვრიე ალაზანს და ურმებით და ცხენით გამოვიდნენ გამოღმა, რომ თავისი საკუთარი თვალით ეხილათ, თუ ალაზანი როგორ იქნებოდა დამორჩილებული ადამიანის მიერ. მოახლოვდა არხის გახსნის დრო. ზღვა ხალხი მისჩერებია რკინის ვეებერთელა ცილინდრს, რომელმაც უნდა შეაგუბოს ალაზანი. დაიჭიმა ჯაჭვები. შეირყა ცილინდრი და დაეშვა ქვევით, წყლისკენ. ალაზანი თვალის დახამხამებაზე შეგუბდა, იძლია და მოედო ნაპირებს, რომ ეპოვნა სხვა გზა. მაგრამ, ამ დროს აიშვა ხუთი ფარი და ალაზანმაც გასწია იქით, საითკენაც მას მიუთითა ადამიანმა.

კახელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მათ იხილეს არხი, გავსებული ალაზნის წყლით.

წყალი აღმა წავიდა, სხვა მიმართულებით.

მან გასწია ქვევით, იმ მინდვრებისა და ვენახებისაკენ, რომლებიც დიდი ხანია ელოდებოდნენ თავის გამანოყიერებელს.

— ვენაცვალე მუშის მარჯვენას — იძახოდნენ გურჯაანელები — ძლივს გველირსა წყალი.

— ახლა ვერ წარმოიდგენთ რა ტანჯვაში ვიყავით — ამბობენ ვაქირის და მაკრიანის გლეხები — გვალვაში კოკებით და საურებით ჩაგვქონდა წყალი ვენახებში.

— პეტრეს ტყუილად არ ჩაუარა დიდი ხნის შრომამ, გაიმარჯვა, დღეს მისი ზეიმია — ისმის ხმები.



ალაზნის არხის საერთო სანახაობა ახალ კალაპოტში.



ალაზნის არხის მთავარი საგუბარი წყლის გაშვების დროს.

პეტრე მამრაძე მოხუცი ინჟინერია. ჯერ კიდევ 1912 წელში შეადგინა ალაზნის არხის პროექტი. მაგრამ ვერც ერთი მთავრობის დროს ვერ მიაღწია თავის წადილს, თავისი პროექტის განხორციელებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მას საშუალება, დაეწყო მუშაობა და ხორცი შეესხა თავისი ოცნებისათვის.

—:—

მეორე დღეს, 2 მაისს, წყალმა მიაღწია ბაკურციხის მიდამოებს. აქაც ზეიმი, სიხარული. წყალი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდიოდა წნორისაკენ, საიდანაც იგი, მალე, გაიკვლევს გზას შირაქის თვალუწვდენელ ველ-მინდვრებისაკენ.

ბ. ხუციშვილი.

# მარკონის გამოგონება



ცოდმა იტალიელმა გამომგონებელმა მარკონიმ ქალაქ გენუიდან (იტალიაში) ელექტროტალღებისა და განსაკუთრებულად მოწყობილი აპარატის შემწეობით 3.000 ლამპა აანთო ქალაქ სიდნეიში. მაშასადამე მან მოახდინა უმავთულო შეერთება 16.000 კილომეტრის მანძილზე. ეს ძალიან დიდი მიღწევაა, მაგრამ დღეს აღარ წარმოადგენს სასწაულს. დღეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა რადიოს შემწეობით ისეთი დაშორებული პუნქტების შეერთება, როგორიც, მაგალითად, ბერლინი და ბუენოს აირესი; ამიტომ მარკონის სენსაციურ ცდას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ახალ საფეხურს აღნიშნავს რადიოტეხნიკის განვითარებაში. ამ დარგში კი მართლაც გასაოცარი ამბები ხდება. ეგრეთ წოდებული მოლაპარაკე ფილმის და რადიოფოტოგრაფიის საკითხი პრინციპიალურად უკვე გადაჭრილია. ახლა ლაბორატორიებში გაფაციცებული მუშაობა სწარმოებს ფოტოელექტრული მასალის მისაღებათ, რომელიც საჭიროა, რათა შორეულ სივრცეში დანახვამ სასურველ დონეს მიაღწიოს. სწარმოებს აგრეთვე ცდები ხმელეთიდან ელექტრო მაგნიტური ტალღების შემწეობით გემების და წყალქვეშა ნავების მართვისა.

ასეთი დიდებული ტეხნიკური მიღწევების შემდეგ ადამიანს სასაცილოთ ეჩვენება მომავალი ცხოვრების სურათი, რომელიც ედვარდ ბელამიმ დახატა თავის ცნობილ წიგნში „ასი წლის შემდეგ“. სინამდვილემ უკვე გადააჭარბა ასეთ უტოპიურ რომანებს; მართალია დღესაც იწერება უტოპიურ ტეხნიკური რომანები, რომელიც ანგარიშს უწევს უკანასკნელი დროის მიღწევებს, მაგრამ მათ ვიწრო ბურჟუაზიული აზროვნების დაღი აჩნევია. ბურჟუაზიას კი ვერ წარმოუდგენია, რომ მეურნეობის რაციონალიზაცია, რადიო, ფილმი და პრესა შეიძლება სხვა მიზნებისათვის იქნას გამოყენებული, გარდა მშრომელი მასების ექსპლოატაციისა, ან საშინელი გამანადგურებელი ომების მოწყობისა. მართალია, თუ ბურჟუაზიამ ბატონობა შეინარჩუნა, ისეთმა ტეხნიკურმა მიღწევებმა, როგორიცაა მარკონის ზემოაღნიშნული ცდა, ომში შეიძლება საბედისწერო შედეგები იქონიოს იმ მხრივ, რომ მათი შემწეობით შესაძლებელი გახდება მთელი ქალაქების აფეთქება და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება.

მაგრამ დღის პროლეტარიატი, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედზე ბატონობს, იმდენათ უმწეო აღარ არის, რომ გულხელდაკრეფილი უცქიროს ბურჟუაზიის მიერ მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევათა გამოყენებას. იგი თვითონ იყენებს ყოველ მნიშვნელოვან გამოგონებას, რათა კოლექტიური მეურნეობა მოაწყოს და ახალ ადამიანს მშვიდობიანი ცხოვრების ღირსეული პირობები შეუქმნას. ხოლო თუ იმპერიალისტური ბურჟუაზია მშვიდობიანობას დაარღვევს და შეტევას დაიწყებს, პროლეტარიატი იმავე მეცნიერულ და ტეხნიკურ მიღწევებს თავის დასაცავად გამოიყენებს.





**სურათზე: მარკონი ლაბორატორიაში, რომელიც მის ხომალდ „ელექტრაზეა“ მოწყობილი იგი ხელს აჭერს ღილს, იმავე წუთში რადიოტალღების შემწეობით 3000 ლამპა ინთება სიდნეის თვითმართველობის შენობაში.**

**მარკონის გამოანგარიშებით რადიოტალღა წამში 186.000 მილს გადის, რადგან გენუას და სიდნეის შორის დაახლოებით 14 ათასი მილია (16 ათასი კილომეტრი) ღილს, ხელის დაჭერასა და ლამპების ანთებას შორის კი წამის მეათედმა განვლო.**

# სომხეთის აკადემიური თეატრის გასტროლები თბილისში

უკვე ორი კვირაა, რაც თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა სომხეთის აკადემიური დრამა. მათი ჩამოსვლით ერთხელ კიდევ ნათელი ხდება კულტურული კავშირის განმტკიცება ამიერ-კავკასიის ერთა შორის. თეატრის მოგზაურობის მიზანია, არა მარტო გააცნოს მეზობელ რესპუბლიკების ერებს თავისი მუშაობა, არამედ მათი მიზანია აგრეთვე, შექმნან ამიერ-კავკასიის თეატრალური ხელოვნების ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამიერ-კავკასიის ეროვნულ თეატრებს. დღემდე ამ მხრივ არავითარი მუშაობა არ წარმოებულა. ასეთი ცენტრის დაარსებაში ხელი უნდა შეუწყოს ცალკე რესპუბლიკათა ეროვნულ თეატრების შეკავშირებას და მათი მუშაობის შემდგომ გაფართოებას.

თავისი არსებობის დასაწყისში თეატრში მუშაობდნენ ძველი მსახიობები, ხოლო შემდეგში თეატრმა აღზარდა ახალი მსახიობების კადრი, რომელიც დღეს დიდი ენერგიით მუშაობს. ახალი კადრების მომზადების მიზნით თეატრთან დაარსდა სამწლიანი სკოლა.

თეატრმა შესძლო გამოხმაურებოდა დღევანდელ ყველაზე აქტუალურ საკითხებს. დაიდგა იანოვსკის „ბრაზი" გადაკეთებული და შეფარდებული სომხეთის პირობებთან, რამაც საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. „ბრაზი"-ს დადგმით თეატრმა უეჭველად გამოამჟღავნა აღებული ხაზის სისწორე. თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილი დათმობილი აქვს ორიგინალურ პიესებს, რომელთა შორის არის შირვან-ზადეს „მორგანის ნათლიმამა", დემირჩიანის „მამაცი ნაზარი", ბაგდასარიანის „სისხლიანი უდაბნო", რომელიც თბილისისათვის უკვე ნაცნობია მუშათა თეატრის დადგმით და სუნდუკიანცის „პეპო" და „ხათაბალა", რომლებიც გადაკეთებული და დადგმულია რეჟისორ გულაკიანის მიერ. ეს უკანასკნელი პიესები ჩვენი დროისთვის მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობის მქონე არიან. ამიტომ რეჟისორ გულაკიანს მეტად მოხერხებულად ჩაურთავია მასში მუსიკალური და საცეკვაო ნომრები, რითაც პიესები უფრო ხალისიანად საყურებელი ხდებიან. ყველა პიესებში აქტიორები დიდი დაკვირვებით თამაშობენ. თეატრს აქვს უტყუარი მიღწევები, რასაც შემდეგში ალბად უფრო გააფართოვებს.

თეატრი გასტროლების დამთავრების შემდეგ მიემგზავრება ბაქოში, როსტოვში და მოსკოვში. თეატრსთან აქვს საკუთარი დეკორაციები, კოსტიუმები და ბუტაფორია.

**დღ.**



„პეპო"—სუნდუკიანცის. დადგმა გულაკიანის.



„ხათაბალა"—სუნდუკიანცის. დადგმა გულაკიანის



„ბრაზი"—იანოვსკის. დადგმა ვაგარშიანის.



„შემოსავლიანი ადგილი"—ოსტროვსკის. დადგმა სიმონოვის

# 12.000.000

ჩაქვიდან თბილისისაკენ პირველი პატარა სადგურია ოფირჩხეთი. მატარებლით მიმავალი მგზავრის ყურადღებას ეს სადგური არასოდეს არ იპყრობდა.

სადგურის მარცხნივ, ერთი ვერსის მანძილზე, მოსჩანდა ხრიოკი ადგილი, რომელიც დაფარული იყო უშველებელი ხეებით და ცოტაოდენი უხეირო ტყით.

ამ რამოდენიმე თვის წინად „საქართველოს ჩაი"-მ გადასწყვიტა ამ უხეირო ტყის ნაცვლად ჩაის პლანტაციების გაშენება.

1930 წლის იანვრის პირველ რიცხვებში პატარა სადგურიდან, ერთი ვერსის მოშორებით, წამოიჭიმა ხის თეთრი სახლები მუშების საცხოვრებლად; აგუგუნდა 8 ძლიერი ტრაქტორი და 1400 მუშა ქიანჭველებივით მიესივნენ ხრიოკ ფერდობს.

გეგმის მიხედვით 1931 წლისათვის უნდა დამუშავებულიყო 500 ჰექტარი მიწა.

მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მუშების რიცხვი 2600-დე ავიდა. ტრაქტორის ძლიერი ძალით წუთში იგლიჯება უშველებელი ხის ძირები... და მიწის ზურგი თანასწორად ხვნება 35 სანტიმეტრის სიღრმეზე.

სურათი თანდათან იცვლება. დღითიდღე საგრძნობლად მცირდება უხეირო ტყის სივრცე, იწვება და ქარს მიაქვს დამპალი, გამოუსადეგარი ხის ძირები და მცენარეები.

რასაკვირველია „საქართველოს ჩაი"-ს ასეთი მუშაობა მარტო ოფირჩხეთის მიდამოებში კი არ ჩაუტარებია. მან მრავალ სხვა ადგილებზე



ჩაის თესლის ჩაგდება მიწაში.

ჩაის თესვაში დიდს მონაწილეობას იღებდენ მუშა-ქალები. 500 ჰექტარის ნაცვლად 520 ჰექტარი მიწა უკვე დაუხნავთ, ხის კუნძებისა და ბალახების ნამცეცსაც ვერსად დაინახავთ; 2600 მუშის მკლავს და 8 რკინის ხარის ძა-



საბჭოთა მამულში ჩაის თესვა.



ქალები ჩაის თესვაზე.

ადათხარა დედამიწის ზურგი ჩაის ულტურისათვის.

ოფირჩხეთის მიდამოები მთლიანად სწორდა და ჩაის თესვა უკვე დამვრდა. ოფირჩხეთის ამ მივარდნილ დგილებში გზა გაიყვანეს და ავტობილი თავისუფლად დადის.

ლას მთლიანად გაუნადგურებია ისინი და ნაცვლად იმისა, რომ 1930-31 წლისათვის დაემთავრებიათ 500 ჰექტარი მიწის დახვნა და დათესვა, დღეს უკვე დახნულია 520 ჰექტარი მიწა, სადაც **ჩაფლულია 12.000.000 ჩაის თესლი.**

დღეს, როდესაც სადგურ ოფირჩხეთის ახლოს მატარებელი ჩაივლის, შიგ მსხდომი მგზავრები მოჰკრავენ თვალს ოფირჩხეთის სადგურის მარცხნივ ბოძებზე გაკრულ წარწერას:

— **ამხ. სტალინის სახელობის, ოფირჩხეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.**

სულ მალე საქართველო მართლაც გახდება საბჭოთა კავშირის ცეილონად.

**შ. ფურცხვანიძე.**

# ორი საბჭოთა მეურნეობა

## კულტურული მეურნეობის ნიმუშები

ქალაქის ახლო მდებარე საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობას ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან ის საუკეთესოდ სწყვეტს მუშათა მომარაგების პრობლემას. ქალაქის ახლო მდებარე საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბების გზით ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ ფასების დაკლებას საკვებ პროდუქტებზე. ბაზრის დონეზე მომარაგებას ახალი ბოსტნეულით, რძით, კვერცხით და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მებოსტნეობის განვითარებას, რამდენა-



საუკეთესო ჯიშის ფრინველები.

დაც ბოსტნეული წარმოადგენს საუ საკვებს და მისი მოხმარება ქალაქის სათანადოთ დაყენების შემდეგ, უფრო ხელმისაწვდომი შრომელი მოსახლეობისათვის და თავისუფლდება ბევრის სხვა პროდუქტების დიდი რაოდენობა, —ხორცი, თევზი და სხვ.—რაიც სასურსათო სიძნელენი მოუგვარდება.

თბილისის გარშემო საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა ეხლა იზრდება. არსებულ საბჭოთა მეურნეობებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სახ. პოლიტსამმართველოს საბჭოთა მეურნეობები. ეს მეურნეობები ქალაქის ახლო მდებარე საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო რეკლამაა. საბჭოთა მეურნეობა № 1 მდებარეობს ნავთლუღში, რაც ით-სადგურის ახლოს. მეორე—მეხილეობა-მებოსტნეობა-მეკვერცხეობის მეურნეობაა.



საუკეთესო ჯიშის ღორები.

საბჭოთა მეურნეობაში მისვლისას ჩვენ შეგვხვდა აგრონომი-ქალი, ვეცნობით და მაშინვე ვუდგებით საბჭოთა მეურნეობის გაცნობას. ვიწყებთ ინკუბატორიდან, რომელიც მოთავსებულია თბილ, ნახევრად სარდაფში. ინკუბატორი 7.000 კვერცხისათვის, ის დროებითია, მალე იქნება ორი ინკუბატორი 25.000 კვერცხისათვის თითო.

— ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გავუშვებთ 1.500.000 კვერცხს,—გვეუბნება აგრონომი,—გარდა ამისა, შემოდგომისათვის ჩვენ გვეყოლება 10.000 კრუხი.

ვათვალიერებთ „ბროდერ ჰაუზებს", რომლებშიაც ადამიანის ხმები ისმის 2.500 წიწილის წივილში, რომლებიც იზრდებიან უდედოთ, „ელექტრონის კრუხებით". სპეციალურ საქათმეებში 1.000 ჯიშიანი ქათამია. საქათმიდან ჩვენ გადავდივართ ახლად აგებულ საძროხეში, ჯიშიანი ბუღებით, წონით თვითეულ ნახევარ ტონაზე მეტი, საუკეთესო „ღცხოელ" ძროხებით. განსაკუთრებული საძროხეებიდან გამოირჩევა „ხევსურები", რომლებიც ზომით პატარებია, მაგრამ 11 კილო რძეს იძლევიან.

— ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში აქ არაფერი იყო,—გვეუბნება ჩვენი მასპინძელი,—ეხლა კი თქვენ თვითონ ხედავთ: 128 ძროხა, 56 ხბო, 1000 ქათამი. საბჭოთა მეურნეობა მუშკოოპს ყოველდღიურად 40 ფუთ რძეს აძლევს.

მომავალში მთელი საბჭოთა მეურნეობა ელექტრიფიკაციაქმნილი იქნება. შემოსავლე-



კარტოფილის [illegible]

ლი იქნება ბზარებში ელექტრონის საწველებით, აიგება ახალი ბოსლები, 20 ჰექტარი დაკავებული იქნება საქათმეებს.

მეორე მეურნეობა სადგ. სოღანლუღთანაა, ამ მეურნეობაში—ღორები, ბაჭიები, ბოსტნეული, და ცხვრის შესანიშნავი ფარები. ბაჭიები ჯერ-ჯერობით 97-ია, მაგრამ ისინი ისე სწრაფად მრავლდებიან, რომ მალე ეს დარგი მეურნეობაში დაიპყრობს ერთ მნიშვნელოვან ადგილს.

დროებით საღორეებში მოთავსებულია 250 საუკეთესო ღორი, ზოგიერთი მათგანი წონით 18 ფუთი. ჩვენ დავათვალიერეთ ათეული ჰექტარი დათესილი კარტოფილით, კომბოსტოთი, სარწყავი არხები, თითქმის დამთავრებული ახალი საღორეები, თითო 500 ღორისათვის და დავინახეთ, რომ საბჭოთა მეურნეობას დიდი მუშაობა ჩაუტარებია.

ციფრები საუკეთესო მაჩვენებლებია. მიმდინარე წელს მეურნეობა მოგვცემს 1,000 ღორს. ორივე მეურნეობა მოგვცემს 30-40 ათას ფუთ ნაადრევ კარტოფილს, ფუთს 1 მ. 20 კაპ. 40 ათას ფუთ ნაადრევ პამიდორს



ტრაქტორებით ხნავენ საბოსტნეს.

30 ათას ფუთ კომბოსტოს. გეგმები შორს მიდის. დაგეგმილია გადაჭარბებით შესრულდა.

ამ ბრწყინვალე მუშაობის მიზეზია, მშრომელების განსაკუთრებული ტემპები ორივე მეურნეობაში, გარკვეულობა მიღებულ დავალებათა შესრულებაში.

სახ. პოლიტსამმართველოს საბჭოთა მეურნეობები კულტურული მეურნეობის საუკეთესო ნიმუშებია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის, რომ ამ მეურნეობებში მუშაობენ სპეციალისტები. ისინი სწავლობენ სოფლის მეურნეობის წესებს და ეს საუკეთესო საშუალებით გამოსაწვრთნელად.

არ მოკლეთ ამ მეურნეობების შესახებ. მომავალში, გეგმების თანახმად, თბილისი შემორტყმული იქნება საბჭოთა მეურნეობების რგოლით. შიგნით არც ერთი ნაკვეთი არ იქნება ცარიელი, ბაზრის მომარაგება პროდუქტებით უზრუნველყოფილი იქნება.

ელ. ფ.

---

# ახალი სოფელი

ლურჯად ბრწყინავდა ზეცა კრიალა
და იცინოდა დილა მზიანი,
როცა ტრაქტორმა დაიგრიალა
და მიაყენა ყამირს ზიანი.
გამუდმებულად ყრიდენ გორებს და
აახანძარეს ძიგვე-ანგარი,
მინდორზე ტრაქტორს მიაგორებდა
გლეხი გამძლე და ძარღვებ მაგარი.
სად ნიადაგი წააგავს ნახშირს
და სინოყიერით არის გამძლარი,
სადაც ყვავილობს ალუჩა ბაღში
და სახალარში ჩნდება ხანძარი —
იქ შეუბოჭეს კულაკს სიავე
და შეუშფოთეს დღენი სალხენი.
კოლექტივებმა გაანიავეს
გაატამტვერეს მდიდრის სახელი
არის შური და არის მუქარა,
არის ზიანი გაიძვერული:
კლასიური რისხვამ დაიმქუხარა
და ბუნაგიდან გარბის ვერური.
არის ხვნა-თესვის წინ გაქანება,
რომ კვლავ აივსოს ნადის ბელლები
საქმიანობა იპყრობს მანქანებს
და თავდადება მშრომელ გლეხობას.
შორით ქალების ისმის ნადური,
სადაც ბიბინებს მწვანე ბოსტანი,
გალობს ბულბულიც გულუმადური
ტყე-ნაკადების მკვიდრი მგოსანი.
კვლავ არტელების ხოლტი გრიალებს
— რაც დაგვაკლებს მტერთა ზიანი!
ცა მოწმენდილი ისევ კრიალებს
ისევ იცინის დილა მზიანი...

ქალე ბოგბოხიძე



სურამის ულელტეხილის ელექტროფიკაცია მთავრდება

# ჩვენ ძმები ვართ

ჩვენ ძმები ვართ,
ჭირიც, ლხინიც
ერთად ეზიდეთ,
ერთად ვნახეთ;
ლაშქარი და
მოღალატე
შევაჩვენეთ,
პირში ვძრახეთ.
უღელში თუ
ბორკილებში
ერთნაირად
ვივაგლახეთ,
მაგრამ დროშა
კომუნიზმის
არ დავხარეთ,
არ შევლახეთ.
— სიკვდილი,
ან გამარჯვება! —
ბრძოლის ველზე
მტერს შევძახეთ
დამონება,
საზიზღარი,
სამუდამოთ
ძირს დავამხეთ.
შრომისა თუ
ბრძოლის ფრონტზე
დღესაც ისევ
ერთად ვდგავართ
და მოისხანეთ
ვემზადებით
ძველ მსოფლიოს
დასანგრევად!

გ. ქუჩიშვილი.

# ვანო ხოჯაბეგოვი
## (მისი სურათების გამოფენა)

4 მაისს თბილისში, „აიარტუნის" დარბაზში გაიხსნა სახალხო მხატვრის ვანო ხოჯაბეგოვის სურათების გამოფენა. ვანო ხოჯაბეგოვის სურათების გამოფენა პირველი არ არის თბილისში, მაგრამ ეს გამოფენა შედარებით უფრო მთლიანია და მხატვრის შემოქმედება სისრულით არის წარმოდგენილი.

ვანო ხოჯაბეგოვის ცხოვრება და შემოქმედება ბევრით არის საინტერესო;

ამ მხატვრის გზა ხელოვნებაში, ძალიან მიაგავს ყველა იმ მხატვრების გზას რომლებიც უშუალოთ გამოვიდენ მშრომელი ხალხის ფენისაგან და იშვიათ ნიჭით დაჯილდოებული იძულებული იყვენ მთელი ენერგია ცხოვრების უკულმართობასთან ბრძოლისთვის შეელიათ.

თუ ასეთი მხატვარი იმარჯვებს, ეს არის შედეგი დიდი ხალასი ნიჭის, გამძლეობისა და ხალხის ახალ ცხოვრებასთან ახლო დაკავშირებისა.

თავისი თავგადასავალით და რამდენადმე შემოქმედებითაც ვანო ხოჯაბეგოვის ცხოვრება ძალიან მიაგავს ნიკო ფიროსმანიშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას.

ამ ოსტატებს არ მიუღიათ არავითარი სკოლა, გარდა საკუთარი ნიჭისა და ორივემ სილარიბეში დალიეს სული.

ორივეს გარს ერტყა ისეთი წრე, რომელიც ხელს არ უწყობდა მხატვრულ ნიჭის განვითარებას; ამ წრეში მხატვარი მხოლოდ სარდაფების დეკორატიული ხელოვნებით ფასდებოდა.

სამაგიეროდ, ეს ხალხი თვითონ იყო ობიექტი მხატვრული ასახვისათვის და ორივემ



ვანო ხოჯაბეგოვი

ნიჭიერი ყმაწვილის ეს გატაცება შეუმჩნევია, ერთ შემთხვევით ამ საწვრიმალოში შემოსულ განათლებულ მუშტარს, და ურჩევია ვანოს მშობლებისათვის, ვანო სამხატვრო სკოლაში მიებარებიათ, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რომ ღარიბი მამა, წვრილი ცოლშვილით დატვირთული, თავის ერთ-ერთ მარჩენალ შვილს ასე იოლათ ვერ გაიმეტებდა და ეს ამბავიც ვანოს ცრემლებით და ტირილით გათავებულა.

მხოლოდ ვანოს დიდხანს შერჩენია მხატვრობით გატაცება და ერთ წუთსაც არ მიუტოვებია თავისი ხელობა; თუმცა, როგორც მხატვარს არავინ არ იცნობდა და არც აფასებდა.

ასე თავისთავის ამარათ, მხოლოდ საკუთარი მონაგონებით დიდხანს განაგრძობდა ვანო მუშაობას. მისი აღმომჩენა ცნობილი მხატვარი გიგო გაბაშვილი. ამ მხატვარის რჩევით ვანო ხოჯაბეგოვს გამოუფენია თავისი სურათები საქართველოს სამხატვრო გამოფენაზე 1916 წელს „დიდების ტაძარში". ამ გამოფენას მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთად იყო მოგროვილი მთელი საქართველოს მხატვართა ნაწარმოები, განსაკუთრებით ეროვნებისა: აქ პირველათ გაითქვეს სახელი ნიკო ფიროსმანიშვილმა, ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ და სხვებმა.

ამ გამოფენაზე ვანო ხოჯაბეგოვის სურათებიც იქნა შემჩნეული და უცბათ შეიცვალა მისი ბედი. პრესამაც და მხატვრებმაც იგრძნეს მისი ნიჭის სიძლიერე და ორიგინალობა; შემდეგ ვანო ხოჯაბეგოვის სურათების გამოფენები მოეწყო „რომის მხატვართა კავშირი"-ს გამოფენაზე და მალე გატანილ იქნა სტამბოლში და ამერიკაში და შორსაც გაითქვა მისი სახელი, თუმცა ვანო დარაჯათ მსახურობდა



ვ. ხოჯაბეგოვი — В. Ходжабегов

თვალწარმტაცი ოსტატობით აღბეჭდეს თავიანთი თანამედროვე მოქალაქეთა თბილისი.

ვანო ხოჯაბეგოვის ბიოგრაფია ასეთია, როგორც აწერილია ჟურნალ-გაზეთებში მისი სიკვდილის დროს 1922 წელს. ვანო დაბადებულა 1875 წელს თბილისში ერთი ღარიბი ხარაზის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა არ მიუღია, რადგან საწყალ ხარაზს ამის შეძლება არ ჰქონია. როგორც ამ წრეში მიღებული იყო, ვანო შეგირდათ მიუბარებიათ მეწვრიმალის დუქანში, და აქ მას თავისით შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა. პირველათ მხატვრობაც ჟურნალებში დახატულ სურათებით გაუცნია და, როგორც ასეთ შემთხვევაში ჩვევა, თვითონ უცდია ამ სურათების გადახატვა. ამ საქმეს ძალიან გაუტაცია და ბოლოს მისი [illegible] სურვილი ის ყოფილა, რომ გამხდარიყო თვითონაც მხატვარი.



ვ. ხოჯაბეგოვი — В. Ходжабегов

ჯერ კიდე „ორიონში" და მერე რუსთაველის თეატრში შიკრიკათ, აქედან გადასულა „მცირე თეატრის" (ეხლანდელი წითელი არმიისა და ფლოტის სახლი), სადაც გაცივებულა და 1922 წელს გარდაცვლილა.

დღევანდელი ვანო ხოჯაბეგოვის გამოფენა იმავე გიგო გაბაშვილის ინიციატივით არის მოწყობილი და უნდა ითქვას სწორეთ დროულია ასეთი გამოფენების მოწყობა ეხლა.

დღევანდელი თბილისი ხლაპრელი სისწრაფით იცვლის ფერს. უკვე ყალიბდება ახალი ყოფა, ახალი მაჯისცემა ეტყობა თბილისს და სრულიადაც არ არის ინტერესს მოკლებული იმ მხატვარის შემოქმედება, რომელმაც გადმოგვცა რევოლიუციის წინანდელი ძველი თბილისი.

ვანო ხოჯაბეგოვის სურათების გამოფენა— ერთი გაუთავებელი ეპოპეაა ძველი მოქალაქური თბილისის ცხოვრებისა; აქ თქვენ ნახავთ: „ყოჩების ჭიდილს", „ქეიფს", „მეტივეებს", „მეკრიჭეების [illegible]", „ყარაჩოღელების კრივი", „[illegible]", „ყარიბით მიაქვთ კინტოებს წყალილი". [illegible]ში ძმადგეფილ ვირებს ეტყობათ [illegible] ხატვრისთვის, ზანტათ მიდიან წინ ყურჩამოყრილი. მხოლოდ იქვე კონტრასტათ: უკან დაბრკოლებული მეწისქვილე ბიჭები ცოტათი გადაკრული მიაჭენებენ თავიან როსინანტებს და ეს ჯერითი იშვიათი იუმორით არის მოცემული.

საერთოდ ირონია ბევრ სურათს გადაკრავს: ასეთია მაგალითად სურათი „ცხვირელ-ბის მფარველი"—მედიცური მოქალაქე.

საერთოდ არ არის ისეთი დეტალი ძველი თბილისის ცხოვრებიდან, რომელიც ასე არ იყოს გადმოცემული: „შანსიკ ვანსკ", „სათ-ლაგზე ზურნით დატარება", „სულის ქორ-წილი", „არღნით ქეიფი", „ავლაბარის ბაკ-ში" „ყასბები" „ხევსურები ქალაქში" „მზითე-ბის წაღება" „მთვრალი დათვი" „ნავში ქეი-ფი" „აღდგომის ბაზარი" „ბოშების კარავი" „მესტვირე", „საზანდარი" და სხვა.

მართლაც არ არის არც ერთი ასე თუ ისე შესამჩნევი დეტალი ძველი თბილისის ცხოვრებიდან, რომ მხატვარს არ მიექცია ყურადღება და არ გამოეტანოს: ის კარგად იცნობს ძველ თბილისს და ორი ხაზით ცხერხება მთლიანი სურათის მოცემა:

შეხედავ თითქო ნაკვთებია—მაგრამ უზარმაზარი ტილო ვერ დაიტევდა ამ დეტალებს:

თუ ნიკო ფიროსმანიშვილი ოსტატია საღებავებისა და მისი ნიჭი უმთავრესად ფერებშია გადმოცემული, ვანო ხოჯაბეგოვი გრაფიკის ოსტატია: მთელ ამ გამოფენაზე ერთი სურათიც არ არის საღებავით, აქ უმთავრესად ფანქარით ნახაზებია. გარდა ეტნოგრაფიულ—არხეოლოგიურ ინტერესისა, ვანო ხოჯაბეგოვის გამოფენა მეტად საინტერესოა გრაფიკულ ხელოვნების შესწავლისთვის.

ზოგ შემთხვევაში ეს უსწავლელი მხატვარი საგონებელში ჩააგდებს თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებულ მხატვარსაც და ამიტომ არის, რომ გამოფენაზე უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა იყრის თავს და გაცხოველებული კამათია გამართული.

უეჭველად უნდა მოეწყოს ამ გამოფენის გადატანა მუშათა უბნებშიც, რომ უფრო ფართო მასებს ჰქონდეს საშუალება ნახოს ეს გამოფენა.

**ტ. ტ.**

# „უგუბზიარა"

ამჟამად საქ. სახკინმრეწვი იღებს ახალ კინო-სურათს აფხაზეთის ცხოვრებიდან „უგუბზიარა". უნდა ითქვას, რომ დღიდან სახკინმრეწვის დაარსებისა აქნობამდე ჩვენი კინო-მრეწველობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საქართველოს განაპირა მხარეებს, მთიან აფგილებს, როგორც მაგ. სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ოსეთი, აფხაზეთი და სხვა. მთელი ძველი კინო პროდუქცია სახკინმრეწვის განახლებამდე შეეხებოდა ან კლასიკოსების ნაწარმოებთა ინსცენირობას, ან მეშჩანურ - სალონურ დრამებს, რომელნიც ობივატელის გემოვნების დაკმაყოფილებას ემსახურებოდნენ.

ამ მხრივ მეტად საბუთიანი იყო ის გულისწყრომა და უკმაყოფილება, რომელიც არსებობდა აქნობამდე აფხაზეთის პარტიულ და პროფესიონალურ და საერთოდ აფხაზეთის მშრომელ მასებში. მხოლოდ შარშან გადასწყვიტა სახკინმრეწვმა აფხაზეთის ცხოვრებიდან კინო-სურათის გადაღება. რასაკვირველია ერთი სურათი ვერ ამოსწურავს მთლიანად აფხაზეთს, მის ისტორიულ წარსულს, ეხლანდელ მდგომარეობას და მომავალ განვითარებას. კინო-სურათი, რომ.... ან პოემა არ არის, სადაც შეიძლება რამდენიმე თემების და აუარებელი მასალის მოგროვება. კინო-სურათი საათ-ნახევრის დროის სანახაობაა და ამ საათ-ნახევარში მხოლოდ ერთი თემის ყოველმხრივი გაშუქება და განვითარება შეიძლება. ამიტომ „უგუბზიარა"-ს თემად არის აღებული აფხაზეთის თანამედროვე ცხოვრებიდან ძველის და ახალის ბრძოლის ფრონტის ერთი ნაწილი. ეს არის ბრძოლა მკითხაობასთან და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ცრუმორწმუნეობასთან, ძველ ტრადიციებთან და სხვა.



სოფლის საბჭოს სხდომა აფხაზეთში



გუჩუს ოპერაცია საავადმყოფოში

რეჟისორი დავით რონდელი

ოპერატორი ვ. კერესელიძე



სცენა ფაცხაში. დედის ტირილი მოკლულ შვილის ცხედართან

სცენარი **გ. მდივანის** და **დ. რონდელის**, რეჟისორი **დავით რონდელი**, პროლეტარული მწერალთა ასოციაციიდან გადმოსული სახკინმრეწვში სამუშაოდ, ახალგაზრდა კინო-მუშაკი, ოპერატორი **ვ. კერესელიძე**. მხატვარი **შალვა მამალაძე**.

**ქ. ბ.**

# ახალი პლანეტა

ამ ცოტა ხნის წინეთ არიზონის ობსერვატორიამ (ჩრდილოეთ ამერიკა) აღმოაჩინა ახალი პლანეტა **ატლანტი**, რომელიც მდებარეობს ცის თაღის იმ ადგილზე, სადაც ვარსკვლავი „დელტაა". ეს მხოლოდ მესამე შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ადამიანმა აღმოაჩინა ახალი პლანეტა. იმისათვის, რომ ნათლად წარმოიდგინოთ რა ადგილი უკავია ცის თაღზე ახალ პლანეტას, რიცხვით მეცხრეს, ამისათვის წარმოიდგინეთ უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც უჭირავს მზის სისტემას, შემცირებული ჩვეულ მოედნამდე ერთი კილომეტრის სიგანით, ე. ი. შევამციროთ ყველა მასშტაბი 7,5 მილიარდჯერ. ამ მოედნის ცენტრში იქნება მზე — პატარა ბურთის ოდენა. მისგან 4 მეტრის დაშორებით არის ყველაზე პატარა პლანეტა მერკური. შემდეგ, 3 მეტრის დაშორებით მერკურიდან ვენერა და 3 მეტრის დაშორებით ვენერიდან დედამიწა— ორივე ქინძისთავის ყუნძის ოდენა. დედამიწას მოსდევს მარსი და იუპიტერი. რაც უფრო დაშორდებით იუპიტერს, მით უფრო იზრდება ინტერვალები პლანეტებს შორის. იუპიტერს „50 მეტრის" მანძილზე მოსდევს სატურნი, ზომით უფრო ნაკლები, ვიდრე იუპიტერი. აქ თავდება მზის სისტემა, რომელიც ძველად იქნა აღმოჩენილი და მიღებული. ასე ამ 5 პლანეტაზე (დედამიწით ექვსზე) შეჩერდა ასტრონომია 1871 წლის 13 მარტის ისტორიულ ღამემდე, როდესაც უდიდესმა ინგლისელმა ასტრონომმა **ვილიამ გერშელმა**, სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა მეშვიდე პლანეტა, რომელსაც უწოდეს ურანი.

მალე, ურანის აღმოჩენის შემდეგ, ასტრონომებმა შეამჩნიეს, რომ ახალი პლანეტის მოძრაობა ეწინააღმდეგება გამოანგარიშებით მიღებულ ნორმალურ მოძრაობას. სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ არანორმალური მოძრაობის მიზეზი უნდა იყოს რომელიმე უცნობი პლანეტის ახლო მდებარეობა, რა თქმა უნდა მზისაგან დაშორებით, ვინაიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკვე აღმოჩენილი იქნებოდა. უცნობი პლანეტის ადგილმდებარეობის გამორკვევას შეუდგნენ გენიალური მკვლევარები ლევერიე — პარიზში და ადამსი — ლონდონში. ლევერიემ წინასწარი მუშაობის დამთავრების შემდეგ თავისი გამოკვლევები გადაუგზავნა ბერლინში თავის მეგობარს ასტრონომ ჰალლეს, რომელმაც 1846 წლის ერთ ნათელ ღამეს აღნიშნულ ადგილას აღმოაჩინა მერვე პლანეტა — ნეპტუნი. ნეპტუნი 60-ჯერ დიდია დედამიწაზე და მდებარეობს 30-ჯერ უფრო შორს მზისაგან, ვიდრე დედამიწა.

ურანის ისტორია ისევ განმეორდა. მალე ასტრონომებმა შეამჩნიეს ახლა უკვე თვით ნეპტუნის, არასწორი მოძრაობა. ცხადია, იყო კიდევ მეცხრე პლანეტა, რომელიც გავლენას ახდენდა ნეპტუნის მოძრაობაზე. ახალი პლანეტის ადგილმდებარეობის გამოსარკვევად საჭირო იყო თვალყურის დევნება ნეპტუნის მოძრაობისათვის მთელი „წლის" განმავლობაში, ხოლო ნეპტუნის „წელიწადი" უდრის დედამიწის 165 წელიწადს. საჭირო იყო მთელი თუ არა ნახევარ „წლის" გასვლის დაცდა. ეს „ნახევარ წელიწადი", ე. ი. 82,5 წელიწადი დასრულდა 1929 წელს (ნეპტუნი აღმოაჩინეს 1846 წ.).

მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინად შეიქნა შესაძლებელი მუშაობის დაწყება. ამ საქმეს შეუდგა მკვლევართა მთელი კოლექტივი ობსერვატორიაში, რომელიც შეიქნა არიზონის შტატის უდაბნო ველზე ცნობილ **პერსივალ ლოველის** მიერ. ამ ობსერვატორიას ხუმრობით უწოდეს „მარსიანია", რადგან ლოველმა მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა მარსის შესწავლას. მარსზე არხე-



ამერიკის უდიდესი ობსერვატორია



## პლანეტათა სამფლობელო,

„სადაც აღმოჩენილ იქნა მე-9 პლანეტა „ატლანტი".

ბის საძიებლად ლოველმა ააგო ეს ობსერვატორია ისეთ ადგილას, სადაც ჰაერი უფრო წმინდა და გამჭვირვალეა. მართალია ლოველმა მარსზე ცეროვეთარი არხები ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ამ უდაბნოს წმინდა ჰაერს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი პლანეტის აღმოჩენაში. არიზონის მკვლევარებმა აღმოაჩინეს პაწია, მე-15 სიდიდის ვარსკვლავი, რომლის დანახვაც შეიძლება მხოლოდ ჩვენი დროის ყველაზე მძლავრი ტელესკოპებით. ასე, რომ ახალი პლანეტის ხილვა მთელ დედამიწის ზურგზე შეუძლია ორ-სამ ობსერვატორიას.

სიდიდით ახალი პლანეტა თითქმის ორჯერ დიდია დედამიწაზე და შუა ადგილი უჭირავს მზის სისტემაში.

—ლ.



პლანეტების სხვადასხვა მდგომარეობა ტელესკოპით გახინჯვის დროს.

# მაიმუნების ფერმა სოხუმში

მოსკოვის ენდოკრინოლოგიის ექსპერიმენტალური ინსტიტუტის მაიმუნების სამეცნიერო - საგამომკვლევო ფერმას, რომელიც 2 წელიწადია არსებობს სოხუმში, უჭირავს ათი ჰექტარი ფართობი, რომელიც დაფარულია სუბტროპიკული, მუდამ მწვანე მცენარეებით. აფხაზეთის რბილი ჰავა, მისი ტროპიკული ფლორით, საუკეთესო ადგილია მაიმუნების ფერმისათვის.

ფერმას განაგებს პროფ. **ლ. ნ. ვოსკრესენსკი.** ფერმაში მუშაობს 24 კაცი. ფერმის მოსახლეობას შეადგენს 52 სხვადასხვა ჯიშის მაიმუნი. მათგან 4 შიმპანზე და ერთი ორანგუტანგი ადამიანის მსგავსია. დანარჩენ ჯიშებიდან წარმოდგენილია ძაღლისთავა პავიანები, გამადრილები, გავშა, ბაბუინი, სფინქსები, ანუბისი და რეზუს-მაკაკი.

აკლიმატიზაციის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კვების საკითხი. კვების ნორმები მაიმუნებისათვის წესდება ისევე, როგორც ადამიანისათვის. მაიმუნების კვება ხდება დღეში ოთხჯერ, განსაზღვრულ საათებში.

ადამიანის მსგავსი მაიმუნები მთელი დღის განმავლობაში იღებენ მოხარშულ ბრინჯს, კამპოტს, უმ კვერცხებს, უმ ბოსტნეულს, ხილს, რძეს, თეთრ და შავ პურს და კაკაოს. გამადრილების მენიუ უფრო მარტივია. ისინი იღებენ ბოსტნეულს, ხილს, კაკაოს და შავ პურს.

მაიმუნები შეეჩვევიან მრავალრიცხოვან ექსკურსიებს და თამამად უწვდიან ექსკურსანტებს თავიანთ ხელებს, ართმევენ და თამაშობენ.

აქვს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მდგომარეობასთან, ხოლო ცდებმა ამ მიმართულებით სხვადასხვა პატარა ცხოველებზე ვერ ამოაწურეს მკურნალობის საშუალებები ისეთ ავადმყოფობებზე, როგორიცაა ტუბერკულოზი და სიფილისი. გადაწყდა ამ ცდების გადატანა ადამიანის უფრო მონათესავე ცხოველებზე — მაიმუნებზე.

ახლო მომავალში, როდესაც სოხუმში მიღებული იქნება მაიმუნების ახალი პარტია, რომელსაც გერმანიიდან გზავნის რეურის და გაგენბეკის ფირმა, დიდი ექსპერიმენტალური მუშაობა გაიშლება ენდოკრინოლოგიაში, ჯირკვლების გადასახმელად.

ამჟამად კი დაწყებულია და ფართოდ სწარმოებს ცდები უმაღლეს ნერვიული სისტემის მოქმედების ობიექტიური გამოკვლევაში აკადემიკოს პავლოვის მეთოდით. მუშაობას აწარმოებს აგრეთვე ნევროპატოლო-



მაქსიმ გორკი მაიმუნების ფერმის თანამშრომლებთან.



სოხუმის ფერმაში გამადრილა თავის შვილით.

მაიმუნების ახალი თაობა, რომელიც სოხუმში გაჩნდა, წარმოდგენილია 8 ეკზემპლარით. აღსანიშნავია, რომ ახალ თაობას იძლევა მხოლოდ გამადრილის ჯიში. ადამიანის მსგავსი მაიმუნები შთამომავლობას არ იძლევიან, ვინაიდან ამ ჯიშის მაიმუნები ფერმაში მხოლოდ 5-8 წლის ჰასაკისანი არიან, ხოლო სქესობრივი სიმწიფე მათ მხოლოდ 12 წელში აქვთ.

ფერმის მთავარ მიზანს წარმოადგენს აკლიმატიზაცია, მაიმუნების გამრავლება და მათი გამოყენება ექსპერიმენტალური მედიცინისა და ბიოლოგიისათვის.

ერთ-ერთ კუთხეში ადამიანური სევდით სახეზე ზის დიდალი ორანგ-უტანგი. მისი სევდის მიზეზია ქმრის დაკარგვა, რომელმაც ვერ აიტანა ზღვით მოგზაურობა და მოკვდა.

აი, მეორე კუთხეში, შიმპანზე ჩანგლით იღებს თეფშიდან ბოსტნეულს და კულტურულად მიირთმევს. ეს კულტურული მიღწევაა, რაც უნდა მიეწეროს იმ ჰუმანიურ მოპყრობას მაიმუნებისადმი, რომელიც არსებობს ფერმაში.

ვინაიდან უკვე გამორკვეულია, რომ ადამიანის ზოგიერთ ავადმყოფობას კავშირი

გი ზალხეიმი მაიმუნების ნერვიული სისტემის გამოსაკვლევად. მაიმუნების კბილების შესწავლას აწარმოებს სპეციალისტ-ოდონტოლოგი ბოგოლეპოვი, როგორც მათ დაავადების, ისე მაიმუნების ჰასაკის გამოსარკვევად.

ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის რამდენ ხანს სცოცხლობენ მაიმუნები, ვინაიდან ზოოლოგიურ ბაღებში ისინი უდროვოდ იხოცებიან.

ამგვარად ფერმის ორი წლის არსებობის შედეგად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი პრაქტიკული მიღწევები ძნელ და დიდ საქმეში, მეცნიერების მიერ ახალი გზების და მეთოდების დაპყრობაში კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ი. ლ.

---



მუშკოოპმა თავის ახალ ქარხნის დირექტორად დანიშნა მუშა ხუხუნაიშვილი
სურათზე: ახალი დირექტ. ისმენს ახსნა-განმარტებას მექან. ლუმელის შესახებ.



ტელეფონის ქსელის შემოწმება თბილისში.
სურათზე—კომუტატ-ბის შემოწმება ცენ. სადგ.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



სტალინის სახელობის ავტო-სახელოსნოები. სურათზე—დამკვრელი მუშა აწყობს ძრავს.



ორჯონიკიძის კლუბში ახლად დადგმული ლენინის ძეგლი



თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი"-ს დამკვრელი მუშა ოგლადოვი, რომელმაც სოცშეჯიბრებაში მიიღო ჯილდოთ ვერცხლის პორტსიგარი



პირველი მაისის მიტინგი ხულოში



ბათომი. დამკვრელი მუშა თვალეურს ადევნებს საქაჩავი სადგურის აპარატებს, რომლებიც ჰქაჩავენ ნავთს ბაქოდან



სოხუმი. ნავთსადგურის აგება



12 მაისს თბილისში მოხდა მუშკოოპის პურის ქარხნის საზეიმო გახსნა. სურათზე პურის ქარხანა



ბათომის ნავთსადგური. „აზნეფტრის" ქარხნებისათვის მიღებულ მანქანების გადმოტვირთვა.



საგარეჯო. ბაქოს დამკვრელი მუშები აკ-
თებენ კოლმეურნეობის ხანიავებელ მანქანას

# გამოვიდა და იყიდება

ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური

ჟურნალი

# „ბოლშევიკი“

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

**თბილისში:**

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

**პროვინციაში:**

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.

„კომუნისტი“-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

**ჟურნალის ფასი:**

1930 წლის ბოლომდე — 2 მ. 50 კაპ.

6 თვით . . . . . — 1 მ. 50 კაპ.

3 თვით . . . . . — 75 კაპ.

1 თვით . . . . . — 25 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი“-ს გამომცემლობა.


მთავლ. № 1011. ტირაჟი 5700. საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“ გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.